დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ_სახელმწიფოთა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭოს **დადგენილება** **აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხზე**

საპარლამენტთაშორისო ასამბლეის საბჭო გამოთქვამს რა უკიდურეს შეშფოთებას კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოგვარების საქმეში, უპირველეს ყოვლისა კი ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა აფხაზეთში (საქართველო) უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების საკითხში რეალური პროგრესის არარსებობის გამო,

მხედველობაში იღებს დსთ სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1997 წლის 28 მარტის აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების უსწრაფესი განხორციელების სასიცოცხლო აუცილებლობას,

ითვალისწინებს რა, რომ კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შესანარჩუნებლად მყოფი კოლექტიური ძალების ყოფნის ვადა იწურება 1997 წლის 31 ივლისს,

ადგენს:

1. მოწოდებით მიმართოს თანამეგობრობის საწესდებო ორგანოებს, ყველას, ვისაც ევალება დსთ სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების შესრულება, დააჩქარონ მოცემული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ღონისძიებების რეალიზაცია, პირველ რიგში კი ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნების საკითხში.

2. მოუწოდოს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ურთიერთმისაღებ საფუძველზე, კომპრომისების გზით გააქტიურონ მოლაპარაკებისა და სადავო საკითხებზე გადაწყვეტილებების ძიების პროცესი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგების უსწრაფესი მიღწევის მიზნით.

ასამბლეის თავმჯდომარე **ე. სტროევი.**

1997 წლის 8 ივნისი.

(გაზეთი “აფხაზეთის ხმა~, #14, 1997 წლის 13 ივნისი)